სამხედრო დაზვერვის განვითარების ისტორიული მიმოხილვა, საქმიანობის განმსაზღვრელი დონეები და დაგეგმვის მექანიზმები (თეორიული ხედვა)

სერგო თევზაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
sergotevzadze77@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-6386-4891
DOI: 10.52340/splogos.2026.01.28

აბსტრაქტი

ნაშრომი „**სამხედრო დაზვერვის** განვითარების ისტორიული მიმოხილვა, საქმიანობის **განმსაზღვრელი დონეები და** დაგეგმვის მექანიზმები“ განიხილავს სადაზვერვო სისტემის შემადგენელ ერთ-ერთ ქვედარგს, კერძოდ, სამხედრო დაზვერვის საქმიანობის თავისებურებებს, განვითარების ისტორიული მაგალითებს და სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის დაგეგმვის მექანიზმებს. ზემოთ ჩამოთვლილი თემატური მიმართულებები მიმოიხილავს სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობას ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, ასევე თვით სადაზვერვო სამსახურების და მათი საქმიანობის არეალის დივერსიფიცირებას არსებული გამოწვევებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ისტორიულ მაგალითებს, რომლებშიც განხილულია ჩვ. წ. აღ-მდე ანტიკური საბერძნეთის, რომის იმპერიის და ჩვ. წ. აღ-ით შუასაუკუნეების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის კონკრეტული ფაქტები, რომლებიც საშუალებას იძლევა მკაფიოდ დავინახოთ სადაზვერვო მოქმედებათა, როგორც ლოკალური ქმედებები, ასევე სადაზვერვო საქმიანობის უწყვეტი პროცესები და სისტემატიზაციაში მოყვანილი სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მეთოდები, მათ შორის წინასწარ დაგეგმილი სადაზვერვო ოპერაციების წარმოების კონკრეტული ფაქტები და სადაზვერვო სამსახურები ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე.

ნაშრომში, ასევე წარმოჩენილია სამხედრო დაზვერვის საქმიანობის როლი ეროვნული უსაფრთხოების ფორმირების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, შიდა და გარედან მომდინარე ბევრი სამხედრო საფრთხის დროული იდენტიფიცირების პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო დაზვერვა, ეროვნული უსაფრთხოება, სამხედრო საფრთხე, თავდაცვისუნარიანობა, საინფორმაციო უზრუნველყოფა.

Historical Overview of the Development of Military Intelligence, Levels of Activity and Planning Mechanisms
(Theoretical View)

Sergo Tevzadze,
PhD Student of Political Science,
Caucasus International University
sergotevzadze77@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0000-6386-4891

Abstract

The paper "**Historical Review of the Development of Military Intelligence, Levels of Activity, and Planning Mechanisms**" discusses one of the sub-fields of the extensive intelligence system, namely the features of specific military intelligence activities, specific examples of historical development, and mechanisms for planning military intelligence activities. All of the above-listed subject areas consider the importance of military intelligence activities at various stages of political, economic, and social development of the countries, as well as diversification of the intelligence services and their areas of activity in accordance with the existing challenges and requirements.

Particular attention is paid to historical examples of intelligence activities, which discuss specific facts of the activities of intelligence services in ancient Greece and the Roman Empire before our era, and in the Middle Ages, which allow us to clearly see not only local actions of intelligence activities, but also continuous processes of intelligence activities as well as systemized methods of collecting, processing and disseminating intelligence information, including specific facts of conducting pre-planned intelligence operations and structured units of intelligence services at the tactical, operational and strategic levels.

The paper also presents the role of military intelligence activities in the processes of shaping national security, strengthening the country's defense capabilities, and timely identification of internal and external military threats.

Keywords: military intelligence, national security, military threats, defense capability, information support.

სპეციალური სამსახურები მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ფორმირების, დაგეგმვისა და კომპლექსური ღონისძიებების რეალიზების თვალსაზრისით. ქვეყნების სტაბილური განვითარების და სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობა იყო და არის ობიექტური და დროული ინფორმაციის არსებობა სამეზობლო ველში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებზე, სახელმწიფოთა შიდა და საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ხასიათზე, მათ დამოკიდებულებაზე მოსაზღვრე ქვეყნებთან მიმართებაში და ზოგადად რეგიონულ დონეზე, ასევე ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის სწრაფად მზარდ ფაქტორებზე. მსოფლიო ქვეყნების და უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მოვლენებით სავსე გზა, ნათლად ასახავს პრიმიტიულ თუ მაღალ დონეზე განვითარებულ სახელმწიფოებრივი დონის კონკრეტული საქმიანობის მიმართულებებს, რომელთა შორის გამოვყოფ ამ თემაში განსახილველ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიც არის სადაზვერვო საქმიანობა.

საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს არსებული სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური ხასიათის გამოწვევები და ამ გამოწვევების თანმდევი საფრთხეები, ასევე მათზე სადაზვერვო საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების მექანიზმები, როგორც სხვადასხვა საფრთხის განსაზღვრისა და წარმოშობილ საფრთხეზე რეაგირების თვალსაზრისით.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის **თვისებრივი მეთოდი,** სადაც ხაზგასმულია განსახილველი თემის მნიშვნელობა, კონკრეტული მაგალითები,

განვითარებული მოვლენების განმარტებები სადაზვერვო საქმიანობის ჭრილში და სადაზვერვო სისტემის საქმიანობის დონეები, მისი სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც განსზაღვრავს სადაზვერვო სისტემის სამუშაო დონეებსა და სადაზვერვო საქმიანობის პროგრესულ და რეგრესულ პროცესებს შორის ურთიერთდამოკიდებულებასა და განსხვავებებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის თეორია და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თავდაცვითი ღონისძიებების ორგანიზების, მოსალოდნელი საფრთხის იდენტიფიცირებისა და რისკის მინიმალიზების თვალსაზრისით, რაც მიმართულია ლოკალურ და რეგიონალურ დონეზე უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს სამხედრო-სადაზვერვო სისტემის მნიშვნელობის წარმოჩენა ეროვნული უსაფრთხოების ფორმირების პროცესში, მისი სპეციფიკური საქმიანობის შესახებ შესაბამისი და ობიექტური წარმოდგენების შექმნა და მომავალში მისი განვითარების ზოგადი ხედვის ფორმულირება.

სადაზვერვო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სამხედრო დაზვერვა, რომელიც დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში. სამხედრო დაზვერვას, როგორც ნებისმიერ დარგობრივ მიმართულებას აქვს განვითარების გარკვეული ეტაპები, რამაც დროთა განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრა მისი საქმიანობის დონეები, ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დაზვერვის სახით, რომლებსაც ერთმანეთისგან განასხვავებს საქმიანობის სპეციფიკა და ინფორმაციის მოპოვების ხერხები, შეგროვების მეთოდები, ასევე სადაზვერვო არეალისა და ინფორმაციული მნიშვნელობის მასშტაბები.

ტაქტიკური დონე – უშუალოდ ხორციელდება ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადებისას, საბრძოლო თეატრის დაწყებამდე, რომელიც გულისხმობს ოპერატიულ დონეზე მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოწინააღმდეგის

ძალების რაოდენობის განსაზღვრას, შესაძლო ტაქტიკურ მოქმედებებს, შეტევის ძირითადი მიმართულების ამოცნობას, რელიეფისა და მოწინააღმდეგის შემტევი ქვედანაყოფების მახასიათებლების მიხედვით, ბრძოლის ველის გეოგრაფიული მახასიათებლების დამუშავებას და საკუთარი ძალებისთვის ხელსაყრელი მონაკვეთების გამოკვეთას, მიახლოვების მარშუტების განსაზღვრას და შეტევაზე გადასვლის რაიონებში უსაფრთხო პლაცდარმების შექმნას ძირითადი ძალების მისვლამდე, ასევე ბრძოლის მიმდინარეობისას სადაზვერვო მოქმედებების განხორციელებას საკუთარი ქვედანაყოფების წინ, მოწინააღმდეგის ზურგში და დივერსიული საქმიანობის წარმოებას.

ოპერატიული დონე – ინფორმაციული და დაგეგმარებითი ხასიათისაა და მოიცავს ადამიანური რესურსების, ტექნიკური საშუალებებისა და ღია წყაროების გამოყენებით დაზვერვას, რომელიც კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მათი შეჯამებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება მომავალი საბრძოლო მოქმედებათა თეატრის შესახებ ობიექტური სურათის ფორმირება. ოპერატიულ დონეზე სადაზვერვო საქმიანობა მიზნად ისახავს საბრძოლო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარებისთვის აუცილებელი სადაზვერვო მონაცემების მოპოვებას, სამხედრო ოპერაციების, კამპანიებისა და საბრძოლო თეატრის წარმართვის პროცესში ჯარების ყველა სახეობების გამოყენებით მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. ოპერატიული დაზვერვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ასევე წარმოადგენს მოწინააღმდეგის ჩანაფიქრისა და გეგმების, შემადგენლობის, განლაგებისა და მოქმედებათა ამოცნობა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების მთელ ზოლში, ასევე ბრძოლის ახალი საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოვლენა.

სტრატეგიული დონე – გაცილებით მასშტაბურია, რომელიც ხორციელდება ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის, სტრატეგიული დაგეგმარებისა და თავდაცვის ძალების გამოყენების ინტერესებში, სამხედრო აგრესიის მოგერიებისას, ყველა სახის სტრატეგიულ ოპერაციებში და მთლიანად ომში. ის წარმოადგენს სტრატეგიული უზრუნველყოფის სახეს და სადაზვერვო მოღვაწეობის უმაღლეს ფორმას, რომლის ეფექტურობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის განსაზღვრულ მოქმედებათა ობიექტურობა და მისი სწორად ფორმირების

პროცესი, ასევე ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა. მშვიდობიან პერიოდში სტრატეგიული დაზვერვა შეისწავლის დასაზვერი ქვეყნის სამხედრო პოტენციალს, ხოლო წინასაომარ ან საომარ პერიოდში ომის თეატრებსა და საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზზე მოიპოვებს მონაცემებს მოწინააღმდეგის ძალების მასშტაბურ გადაჯგუფებებზე, შესაძლო სამხედრო პოტენციალის გამოყენებაზე, მათ მიზნებსა და გეგმებზე. აღნიშნულ დონეზე ინფორმაციის მოპოვება ხდება, როგორც ადამიანური რესურსების გამოყენებით, ასევე დიპლომატიური ან ღია წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით და სამხედრო-სამეცნიერო კუთხით.

სამხედრო დაზვერვა სადაზვერვო სისტემაში მნიშვნელოვან სადაზვერვო რგოლს წარმოადგენს, რადგან მისი სპეციფიკური გარემო და მოქმედებების ვიწრო არეალი მოითხოვს მაღალი დონის სამხედრო განათლებას, ოპერაციების დაგეგმვის პრაქტიკულ და საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილებას, სამხედრო თემატიკის მქონე ინფორმაციის სწორად აღქმისა და შესაძლო წარმოშობილი სამხედრო საფრთხეების ობიექტური შეფასებისთვის. ზემოთ აღწერილი სადაზვერვო საქმანობის დონეები, წარმოადგენს გარკვეული სახის ინფორმაციის გაზიარების იერარქიას, რომელიც ქმნის სადაზვერვო ცნობების მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების თანმიმდევრულ სისტემას, რაც ჩამოყალიბდა სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის განვითარების პროცესში და საფუძვლად უდევს ის თეორიული და პრაქტიკული მაგალითები, როგორიც არის სადაზვერვო საქმიანობის ისტორიული მასალები და ამჟამად არსებული სადაზვერვო საქმიანობის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობა და საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ყოველთვის საფრთხის ქვეშ იყო, რადგან მისი გეოგრაფიული მდებარეობა, მუდმივად იწვევდა იმპერიალისტური სახელმწიფოების დიდ ინტერესს და მისი დაუფლების სურვილს. საქართველო უნდა ყოფილიყო მუდმივ მზადყოფნაში მის მიმართ შესაძლო აგრესიის თავიდან აცილების ან მოგერიებისათვის, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული ჯარი, რომელსაც ჰქონდა უამრავი სახეობა და ქვესახეობა. ჯარის ერთ-ერთ ასეთ ქვესახეობას წარმოადგენს სამხედრო დაზვერვა, რომელიც სხვა

სადაზვერვო სახეობებისგან განსხვავებით ხასიათდება მოქმედებების შედარებით ვიწრო არეალითა და ორიენტირებულია უშუალოდ სამხედრო თემატიკის ინფორმაციის მოპოვებლად. საქართველოს ისტორიაში სამხედრო დაზვერვის, როგორც სტრუქტურული ერთეულის წარმოჩენის ყველაზე გამოკვეთილი მაგალითია მსტოვართა ინსტიტუტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ისტორიული ფაქტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გარკვეული დასკვნებისა და მათი ანალიზის შედეგად კონკრეტული სადაზვერვო საქმიანობის ნიშნების წარმოჩენა.

ინფორმაციული უზრუნველყოფის საჭიროება ბუნებრივი მოთხოვნილების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როგორც თვითგადარჩენის ინსტიქტი. მისი ინსპირირება შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეულმა მოვლენამ, სოციალური ყოფის გაუმჯობესების სურვილმა, სხვისის მითვისებისკენ ლტოლვამ, ეჭვიანობამ, საფრთხის შეგრძნებამ, დეზინფორმაციამ და სხვ. ეს კი, აღძრავს ინტერესის სურვილს, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საჭირო რაოდენობისა და მიზანმიმართული ინფორმაციის მოპოვების შედეგად. ზუსტად ამგვარი ადამიანური მოთხოვნილებებისა და ბუნებრივი უნარ-ჩვევების დაკმაყოფილების შედეგად წარმოიშვა ინფორმაციის მოპოვების, შეგროვების, დამუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი სწორად გავრცელების აუცილებლობა, შემდგომში კი სტრუქტურული დანაყოფები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ამ მიმართულებით არის სპეციალიზებული.

პრიმიტიული დონის სადაზვერვო საქმიანობა მიმართული იყო სხვადასხვა სახის თავდაცვით და თავდასხმით მოქმედებებზე, რამაც საძიებო საქმიანობისა და თავდაცვისუნარიანობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამგვარმა გარემოებებმა განაპირობა პრიმიტიული, მაგრამ საჭირო ნივთების (იარაღის) დამზადება, შესაბამისი ხელოვნური ინფრასტრუქტურის მოწყობა, გარესამყაროსთან უსაფრთხოდ თანაარსებობის მიზნით. პრიმიტიულ ეპოქაში ამგვარი საქმიანობის მეთოდოლოგიურ დონეზე დახვეწა შეუძლებელი იყო, რადგან ქმედებები ხორციელდებოდა ინსტიქტების დონეზე და ყალიბდებოდა უნარ-ჩვევების სახით. ადამიანის ბუნებრივმა მიდრეკილებებმა, რომელიც გამოხატულია ახლის მუდმივ ძიებასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად შეცვალა

ცხოვრებისეული ხედვის მიდგომები, რაც უკავშირდება უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობას და თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას. ამრიგად, მოთხოვნილებების ზრდამ განაპირობა საჭირო რაოდენობის ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიების ათვისებისაკენ სწრაფვა.

სადაზვერვო საქმიანობის მეცნიერულ დონეზე შესწავლის აუცილებელი პირობაა ამ საქმიანობის საწყისებისა და განვითარების ეტაპების სიღრმისეული დამუშავება, რაც მნიშვნელოვანია მისი სწორად გააზრებისა და სპეციფიკური მეთოდოლოგიის თავისებურებების აღქმის თვალსაზრისით. მისი სპეციფიკურობა მდგომარეობს საქმიანობის ფარულობაში, კრეატიულ და შემოქმედებით მიდგომებში, გარკვეულ შემთხვევებში კანონის ჩარჩოებს გარეთ მოქმედების აუცილებლობაში. თუ შევადარებთ ჩვ. წ. აღ-მდე და ჩვ. წ. აღ-ით წარმოებულ სადაზვერვო საქმიანობის მეთოდოლოგიურ მიდგომებს დავინახავთ, რომ საქმიანობის მეთოდოლოგიურ ნაწილში შედის მცირედი ცვლილებები, მაგრამ ვითარდება სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ტექნიკური საშუალებები.

სამხედრო დაზვერვა ორიენტირებულია სამხედრო, სამხედრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებლად. იგი მიმართულია შიდა და გარედან მომდინარე სამხედრო საფრთხეების იდენტიფიცირებაზე, ასევე შესაძლო არსებულ ან წარმოშობილ საფრთხეებზე პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებასა და მათზე დროულად რეაგირებაზე. ზემოთ აღნიშნულის უმნიშვნელო ხარვეზებით შესრულებისათვის, საჭიროა შესაბამისი ცოდნის და უნარ-ჩვევების მქონე პერსონალი, რომელთა მომზადებისათვის აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა, დაკომპლექტებული ხანგრძლივი სამუშაო პრაქტიკისა და მაღალი თეორიული ცოდნის მქონე პროფესიონალი კადრებით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობა ცვალებადია, სპეციალური სამსახურების სამუშაო მიდგომები დაფუძნებულია ადამიანის ფსიქომოდელებზე და ამ ფსიქომოდელების მოწყვლად მხარეებზე, რაც ქმნის სპეციალური სამსახურების სამუშაო მეთოდოლოგიას და მათი ტექნიკური თუ თეორიული განვითარების ეტაპებს, დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე.

წარმატებული სადაზვერვო საქმიანობის წარმოება გარკვეულწილად დამოკიდებული იყო ძლიერ და გონიერ მმართველებზე, რადგან ეს დარგი სხვადასხვა მმართველობების დროს განსხვავდებოდა ერთმანეთისგან თავისი ეფექტურობით. ეს მეტყველებდა იმაზე, რომ აქტიური და წარმატებული სადაზვერვო საქმიანობის წარმოება იყო სახელმწიფოებრივი სიძლიერის, უსაფრთხოებისა და სტაბილური განვითარების გარანტი. მაგალითად „ჩვ. წ. აღ-მდე 510-491 წლებში საბერძნეთიდან განდევნილმა და სპარსეთის სამეფო კარს შეფარებულმა სპარტელების მეფე დემარტმა, ჰეროდოტეს მტკიცებით[327] ბერძნებს მიაწოდა ცნობები სპარსელების მიერ საზღვაო ფლოტის გამოყენებით საბერძნეთზე ზღვიდან თავდასხმის შესახებ“[328], რაც მათ თერმოპილესა და სალამინის ბრძოლებისათვის წინსაწარ მომზადებაში დაეხმარა. რა თქმა უნდა დემარტის განდევნას და მისი თავშესაფარის ძებნას სხვა, უფრო ვრცელი ისტორია აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში აქცენტი იმდროინდელ, კარგად დაგეგმილ შესაძლო სადაზვერვო ოპერაციაზე კეთდება, რადგან ეს არის მოწინააღმდეგის ელიტარულ რიგებში გავლენიანი აგენტის ჩანერგვის კლასიკური მაგალითი ან უბრალოდ პატრიოტულ მოტივზე დაფუძნებული ქცევა. ინფორმაციის მიწოდების ამგვარი პროცესი იმდროინდელი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ძალზედ რთული და წარმოუდგენელიც კი იყო, რადგან კონკრეტულ სიტუაციაში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება აუცილებლად დროული უნდა ყოფილიყო და საჭიროებდა მაღალი დონის კონსპირაციულობას და ინფორმაციის მიწოდებისათვის საჭირო ფართო აგენტურული ქსელის არსებობას. აღნიშნული ინფორმაციის ნამდვილობა, თუ დემარტის ჩანერგვა სპარსეთში წინასწარ განსაზღვრული არ იყო, შესაბამისად საჭიროებდა გადამოწმებას, რაც ნიშნავს სპარსეთის კარზე დამატებითი წყაროების არსებობას და მათი საშუალებით, არსებული ინფორმაციის სანდოობის დონის განსაზღვრას. ამგვარ ინფორმაციაზე რეაგირება ბერძნების მხრიდან პირდაპირ კავშირში იყო უზარმაზარი რესურსების მობილიზებასთან და აუცილებელი იყო სადაზვერვო ინფორმაციაზე

[327] უჩა მურღულია, ჰეროდოტე, „ისტორიები“, თბილისი, 2016, წიგნი VII, თავი 239. https://tinyurl.com/254nbwd8.

[328] დავით კუხალაშვილი, „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“, თბილისი, 2020, გვ.13, https://globalcase.org/view/front/modules_/ebooks/datafiles/B9RqoRnY63fP.pdf.

დაყრდნობით და იმ დროისთვის განვითარებული მოვლენების ანალიზის საფუძველზე ზუსტი და მრავალმხრივ გამყარებული ინფორმაციის ფლობა.

იმპერიალისტური სახელმწიფოების ამბიციური გეგმა ყოველთვის იყო და არის ახალი ტერიტორიების დაპყრობა, რისთვისაც საჭირო იყო დასაპყრობ ტერიტორიებზე შესაბამისი სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასა და მათ განწყობაზე ხელისუფლების მიმართ, ეკონომიკური განვითარების საკითხებზე და სამხედრო თემატიკის ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. მოპოვებული ინფორმაცია სწორ მიმართულებას აძლევდა ახალი ტერიტორიების შემოერთებისთვის საჭირო სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის პროცესს. სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდებოდა დაპყრობითი ომებისთვის ძალთა გათვლა, საბრძოლო ტაქტიკის განსაზღვრა და მოწყვლადი მხარეების შესწავლა, როგორც გეოგრაფიული გარემოებების, ასევე მენტალური მიდრეკილებების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. ეს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა უამრავ საინფორმაციო-სადაზვერვო ოპერაციების წარმოებასა და შედეგად მოპოვებული ინფორმაციების სიღრმისეულ ანალიტიკურ დამუშავებაზე. ჩვ. წ. აღ-მდე 55 წელს რომის იმპერიის ყურადღება გალიის დამორჩილების შემდგომ მიპყრობილი იქნა ბრიტანეთზე[329], რომელზეც ქვემოთ მითითებულ წყაროზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გაიუს იულიუს კეისარს ინფორმაციის მოპოვება გალიაში საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას ჰქონდა დაწყებული. ძირითადად ტყვეთა გამოკითხვით და მათთან სავაჭრო ურთიერთობებში მყოფი ვაჭრების დახმარებით, რადგან კეისარი ფლობდა ინფორმაციას გალიის წინააღმდეგობის ხელმძღვანელთა თავშესაფარის შესახებ ბრიტანეთში და რომისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების შესახებ[330]. ისტორიულ ცნობებში, ასევე აღნიშნულია, რომ კეისარს გალებთან ერთად ებრძოდნენ ბრიტანეთიდან გადმოსული კელტური ტომების მებრძოლები, რომლებიც, ასევე შესაძლოა წარმოადგენდნენ ბრიტანეთის შესახებ საინფორმაციო

[329] Peter. S., „Roman Britain, A very short introduction“, Oxford University Press, 1984, https://tinyurl.com/mvcjjzey.

[330] ყარალაშვილი თ., „კეისარი, კომენტარები გალიის ომის შესახებ“, წიგნი I-II, თბილისი, 2015, https://tinyurl.com/38bvctw4.

წყაროს. მნიშვნელოვანია, რომ რომაელების პირველი ექსპედიცია ბრიტანეთში წარუმატებელი იყო, არასაკმარისი სადაზვერვო ინფორმაციის არსებობის გამო, რაც ნათლად ჩანს წლის სეზონის არასწორ გათვლაში და ბრიტანელების საბრძოლო ძალებისა და სულისკვეთების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის ფლობაში. გაიუს იულიუს კეისრის პირველი გალაშქრება ჩვ. წ. აღ-მდე 55 წელს მალევე დასრულდა ხშირი უამინდობისა და ბრიტანელების მედგარი წინააღმდეგობის გამო. ზემოთ აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ რომაელები ფართო და ხანგრძლივი საომარი მოქმედებებისთვის არ იყვნენ მზად, ამიტომ მათი პირველი გალაშქრება უფრო ბრძოლით დაზვერვის და ძალთა დემონსტრირების ელემენტებს შეიცავდა, რაც ალბათ ემსახურებოდა დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას, სანაპირო ზოლზე დესანტირებისათვის ხელსაყრელი ადგილების გამოვლენას, ბრიტანელების თავდაცვითი ძალების ეფექტურობის გამომჟღავნებასა და ბუნებრივი პირობების შესწავლას. აღნიშნული მყარდება იმ ფაქტით, რომ კეისარმა შემდგომი ლაშქრობა ბრიტანეთში, მალევე ჩვ. წ. აღ-მდე 54 წელს მოაწყო[331] და საკმაოდ წარმატებულიც აღმოჩნდა. განხილული მაგალითი ცხადყოფს იმდროინდელი სადაზვერვო საქმიანობის განვითარების მრავალმხრივობას, როგორც ტაქტიკურ და ოპერატიულ, ასევე სტრატეგიულ დონეზე. აღნიშნული მეტყველებს ასათვისებელ ტერიტორიაზე ინფორმაციის მოპოვების ხანგრძლივ პროცესზე, ტაქტიკური დაზვერვის, კერძოდ, ბრძოლით დაზვერვის კლასიკურ შემთხვევაზე და რომის მიერ ბრიტანეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მინიჭებაზე, რაც რომის მიერ გამოყენებული იქნა პოლიტიკური გავლენების გასაძლიერებლად, ეკონომიკური პოტენციალის გასაუმჯობესებლად, ახალი სავაჭრო მარშუტების შექმნასა და ბრიტანეთზე სამხედრო კამპანიების მიმდინარეობისას რომაული ფლოტის განსავითარებლად.

საქართველოს შორეულ წარსულში სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ყველაზე თვალსჩინო მაგალითი არის დავით აღმაშენებლის მსტოვართა ინსტიტუტი.[332] აღნიშნული ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ დიდი გარდატეხა

[331] მ. კალანდაძე, „ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, არტანუჯი, თბილისი, 2005, გვ.15-23, https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Jun/books/kalandadze-inglisis-istoria-kultura-geografia.pdf.

[332] ზაქარაია ვ., „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური“, ზუგდიდის უნივერსიტეტი, ზუგდიდი, 1994.

მოახდინა იმდროინდელ საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკაში, ქვეყნის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებაში, ჯარისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენასა, გაძლიერებასა და საეკლესიო ცხოვრებაში. ქვეყანაში შექმნილი მძიმე შიდაპოლიტიკური ვითარება, რაც წარმოდგენილი იყო ურჩი ფეოდალების მეფესთან დაპირისპირების და საეკლესიო დიდგვაროვნების მოღალატეობრივი საქმიანობით, ასევე თურქ-სელჩუკების გახშირებული შემოსევებით და მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების სახით, მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის განვითარებას ყველა მიმართულებით. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო მეფის ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფა სახელმწიფოში არსებული ვითარების შესახებ, შიდა და გარედან მომდინარე საფრთხეების სწორად განსაზღვრის მიზნით, შემდგომში სწორი გადაწყვეტილებებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დონის რეფორმების გატარებისთვის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმის შედეგი იყო მსტოვართა ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც თუ სამეცნიერო ნარკვევს „მსტოვრების ისტორია საქართველოში“[333] და ლოგიკურ დასკვნებსაც მოვიშველიებთ, მივხვდებით, რომ ეს იყო კარგად სრუქტურიზებული ორგანიზაცია, სისტემატიზირებული საქმიანობის მოდელით, რომლის საქმიანობაც მოიცავდა შიდა- და გარეპოლიტიკურ-ეკონომიკური დაზვერვის, სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებებს. მას არ ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო უზრუნველყოფის დატვირთვა, ის ასევე აქტიურად გამოიყენებოდა სპეციალური ოპერაციების შესასრულებლად, როგორიც იყო, მაგალითად, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშისა და მისი შვილის რატი ბაღვაშის მიმართ განხორციელებული შეპყრობისა და ლიკვიდაციის ოპერაციები, ასევე არაგვის ერისთავის ძაგან აბულეთისძის და მისი ძმის ეპისკოპოს მოდისტოსის შეპყრობის ფაქტი, სადაც აშკარად ჩანს კონტრსადაზვერვო და სპეციალური დანიშნულების ჯგუფების კარგად დაგეგმილი და შერწყმული საქმიანობა. მსტოვართა ინსტიტუტის სტრუქტურიზებული ორგანიზაციის გარეთ, ყველა სოციალურ ფენაში არსებობდა მათ მიერ ორგანიზებული აქტიური

[333] ალადაშვილი ბ., „მსტოვრების ისტორია საქართველოში“, თბილისი, 2009, https://tinyurl.com/5z6vmm5w.

აგენტურული ქსელები, რომლებსაც შესაბამისად ჰყავდათ ზედამხედველები ანუ ინფორმაციის შეგროვებასა და დავალებების გაცემაზე პასუხისმგებელი პირები. სამეფო კარზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი ეკავა მანდატურთუხუცესს[334], რომელიც განაგებდა სამეფო კარის მამულებს, კორესპონდენციის პერუსტრაციის პროცესს, უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას და მათ მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, სასახლის ადმინისტრაციულ სამსახურს და სამოქალაქო დავების განხილვის ორგანოს „სააჯო კარს“. ასეთი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო მოხელეს დაქვემდებარებულთა დიდი შემადგენლობა ჰყავდა და შესაბამისად მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ფლობდა სამეფო კარზე და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. მანდატურთუხუცესი მთელი თავისი სრუქტურული ერთეულებით ექვემდებარებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს[6], რომელიც სახელმწიფოში მეფის შემდგომ მეორე პირს წარმოადგენდა. ის განაგებდა სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო მიმართულებების კოორდინირებულ საქმიანობას, ასევე დიპლომატიურ მიმართულებას და სახელმწიფო ორგანიზაციების იერარქიულ მოწყობას. ცხადია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამეფო კარის ხელმძღვანელი რგოლი და მათ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები თუ ინდივიდუალური პირები წარმოადგენდნენ მსტოვართა ინსტიტუტის შემადგენელ ნაწილს და მათი გააქტიურება ხორციელდებოდა შექმნილი ვითარებიდან და შესაბამისი საჭიროებიდან გამომდინარე.

იმდროინდელ საქართველოში, როდესაც ხშირი იყო შიდასამხედრო საფრთხეებისა და ზოგადად გარედან მომდინარე შესაძლო ინტერვენციის არაერთი საფრთხე, ძირითადად გროვდებოდა სამხედრო თემატიკის მქონე ინფორმაცია, სამეზობლო ველსა და მის საზღვრებს გარეთ, მათი მილიტარიზაციის, წვრთნებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების შესახებ. წარმატებული სადაზვერვო საქმიანობის წარმოება და განსაკუთრებით სამხედრო დაზვერვისა და სამხედრო კონტრდაზვერვის მიმართულებები, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნებისმიერი

[334] ძმანაშვილი ე., „სამოხელეო წყობის საკითხისთვის XII საუკუნის საქართველოში“, თბილისი, 2018, https://www.scribd.com/document/500440428/ekaterinedzmanashvili-samoxeleo-aparati.

სახის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი პრევენციისათვის საჭირო რესურსებისა და საშუალებების დროულად მოძიების თვალსაზრისით, ასევე მათ მიმართ პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების მხრივ. მნიშვნელოვანი იყო ასევე წინასწარ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება უშუალოდ ბრძოლის ველზე, მოწინააღმდეგის ტაქტიკური მოქმედებებისა და ჯარის მორალური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინება, რისი ნათელი მაგალითიც არის 1121 წლის დიდგორის ბრძოლა, სადაც დიდგორის ველზე დაბანაკებული თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი არმიის წინააღმდეგ დავით აღმაშენებლის მიერ უშუალოდ ბრძოლის აქტიური ფაზის დაწყებამდე გამოყენებული იქნა მის ხელთ არსებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების ბერკეტი, რომელიც მან განხორციელა 200 რჩეული მეომრის მტრის განლაგებაში შეგზავნით. თუ გავითვალისწინებთ მოწინააღმდეგის სიმრავლეს ადვილი წარმოსადგენია, რომ მებრძოლთა ასეთი მცირე რაოდენობით მათ რიგებში არეულობისა და დეზორგანიზაციის შეტანა შეუძლებელია, თუ რა თქმა უნდა წინასწარ არ არის ცნობილი მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ჯარების ბანაკად განლაგების სქემატური სურათი ჯარების სახეობების მიხედვით.

საქართველოს ისტორიაში მრავლადაა სახელმწიფოებრივი საქმიანობის წარუმატებლობის მაგალითები, რომლებიც ნეგატიურად აისახებოდა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე. ამ კონტექსტში საინტერესოა 1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში განვითარებული მოვლენების[335] განხილვა, რომელიც ეხება სომხეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში სამხედრო დაზვერვის წარუმატებელ საქმიანობას. წარუმატებლობის ყველაზე ნათელი გამოხატულება აღნიშნულ შეიარაღებულ კონფლიქტში, მდგომარეობს არასაკმარისი, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებული და არასწორი სადაზვერვო ინფორმაციის არსებობაში, რამაც საბოლოოდ განაპირობა გარკვეული

[335] ჩაჩხიანი ა., „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918 1919 წლების ომი, არადანი, თბილისი, 2007, III თავი, https://tinyurl.com/3wtmm6xj.

ტერიტორიების მითვისება სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა კონტრდაზვერვით საქმიანობას, რა თქმა უნდა საგარეო და სამხედრო დაზვერვასაც, მაგრამ თუ დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შექმნილ ნაშრომებს და ჩვენამდე შემორჩენილ ისტორიულ ფაქტებს, მივხვდებით, რომ სამხედრო და საგარეო დაზვერვის განვითარების კუთხით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა, რასაც შესაბამისი შედეგები ჰქონდა სომხეთ-საქართველოს ხანმოკლე ომის პერიოდში. ფაქტობრივად სომხების მიერ განხორციელებულ ყველა თავდასხმით ოპერაციაზე რეაგირება საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან დაგვიანებული იყო, არ არსებობდა წინმსწრები ინფორმაცია თუნდაც უახლოეს მომავალში შესაძლო თავდასხმების, მოწინააღმდეგის ძირითადი შეტევის მიმართულების განვითარების ან თუნდაც მტრის ნებისმიერი სახის აქტივობის შესახებ. ამგვარი საკითხის განხილვისას აუცილებელია ფაქტობრივ მოვლენათა ანალიზისა და ლოგიკური შეხედულებების დახმარება რეალური სურათის ობიექტურად აღქმისა და სწორი დასკვნების ფორმირებისათვის, კერძოდ, საუბარი ეხება, სომხეთის მიერ საომარი მოქმედებების გამალებული მზადების მიმართ ქართული სპეცსამსახურების ლოიალურ დამოკიდებულებას.

1918 წლის 18 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე პირველი თავდასხმა საქართველოზე[336], ბრძოლით დაზვერვის კლასიკური ვარიანტია, სადაც სომხებმა განსაზღვრეს ქართული ჯარების მობილიზებისა და რეაგირების ხარისხი, საბრძოლო საშუალებების გამოყენების ეფექტები, ტაქტიკა და საბრძოლო სულისკვეთება, თავდაცვითი ბრძოლებისთვის საჭირო საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და პოზიციების არსებობა, ანუ ყველაფერი ის, რაც მათ განმეორებითი თავდასხმის დაგეგმვისთვის დაჭირდებოდათ. 1918 წლის 10 ნოემბრის საერთო კავკასიურ კონფერენციაზე სომხური დელეგაციის გამოუცხადებლობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა მათ არამეგობრულ

[336] ჩაჩხიანი ა., „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918- 1919 წლების ომი, არადანი, თბილისი, 2007, III – IV თავი, https://tinyurl.com/3wtmm6xj.

დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. პირველი ეტაპის თავდასხმის მოგერიების შემდეგ ფრონტის ხაზზე ქართული დანაყოფების გაძლიერების უგულვებელყოფა საქართველოს მთავრობის მხრიდან მეტყველებდა შექმნილი ვითარების არასერიოზულ აღქმაზე. დივერსიული აქტების მოწყობა, სეპარატიზმის გაღვივებისა და ქართული გარნიზონის სამხედროებზე პერმანენტული თავდასხმების ფაქტები კონტრსადაზვერვო საქმიანობის არაეფექტურ მუშაობაზე მეტყველებდა და ბოლოს 1918 წლის 9 დეკემბერს საბრძოლო მოქმედებათა მეორე ეტაპის სრულმაშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების განახლება და შესაბამისად საქართველოს მზადყოფნის დაბალი დონე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალური სამსახურების და განსაკუთრებით სამხედრო დაზვერვის მუშაობის სუსტ მხარეებზე. როგორც ჩანს, სამხედრო დაზვერვის საქმიანობა არ ცდებოდა ტაქტიკური დაზვერვის ჩარჩოებს, რომელიც იძლეოდა მხოლოდ ბრძოლის წინ და ბრძოლისას სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მოწინააღმდეგის ტაქტიკაზე, ძალებსა და საშუალებებზე, რაც არ იყო საკმარისი ფრონტის ხაზის მთელ მონაკვეთზე არსებული შექმნილი ვითარების ობიექტური სურათის ფორმირებისთვის, მოწინააღმდეგის სამომავლო მოქმედებების განსაზღვრისათვის, მათ ხელთარსებული ძალებისა და საშუალებების რაოდენობის სრული იდენტიფიცირებისათვის.

ისტორიული მაგალითები მეტყველებს არა მხოლოდ, სამხედრო დაზვერვის ინსტიტუციური განვითარების კონკრეტულ მოვლენებზე, არამედ სადაზვერვო საქმიანობის დაგეგმვის მექანიზმების განვითარების ვრცელ პროცესებზე. დაზვერვის დაგეგმვის მექანიზმი ყოვლისმომცველია და გულისხმობს ხანგრძლივ პროცესს, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები და ამის საფუძველზე წარმოშვებული პრიორიტეტული სადაზვერვო მიმართულებები. აღნიშნულზეა დამოკიდებული სადაზვერვო სისტემის სტრუქტურული განვითარების, აქტუალური სადაზვერვო მიმართულებების გამოკვეთისა და სადაზვერვო სივრცის დივერსიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიც არის:

– **პრიორიტეტები** – განისაზღვრება ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, არსებული და მომავალში შესაძლო წარმოშობილი მრავალი რისკიდან და საფრთხიდან, რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე;

– **ინფორმაციის მოპოვება** – კონკრეტული სადაზვერვო მიმართულებების გამოკვეთა და ამ მიმართულებებზე შესაბამისი დაგეგმვითი პროცესების წარმართვა;

– **დამუშავება** – გულისხმობს მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის დახარისხებასა და სისტემატიზაციას;

– **სადაზვერვო პროდუქტის მომზადება** – დამუშავებული ინფორმაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს შეფასებებს, კორელაციის პროცესსა და დასკვნებს;

– **გავრცელება** – სადაზვერვო პროდუქტის დანიშნულებისამებრ მიწოდების პროცესი;

– **უკუკავშირი** – წარმოადგენს დაგეგმვის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც შესაბამისი განხილვის შემდეგ განსაზღვრავს ინფორმაციის მნიშვნელობას, სარგებლიანობასა და შესაძლო მოთხოვნებს, დამატებითი ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.

ამგვარი დაგეგმვის მექანიზმი მიმართულია სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით დროული და ობიექტური პროგნოზების განხორციელებაზე, ასევე გადაწყვეტილების მიმღები სამთავრობო რგოლების მიერ წარმოშვებულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის, შესაბამისი რესურსების მობილიზებისა და განვითარებულ პროცესებში მათი დროულად ჩართვის უზრუნველყოფისთვის.

დასკვნა

ნაშრომში მოყვანილი არც თუ ისე დეტალური, მაგრამ ქრონოლოგიური მაგალითები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვან დაზვერვის ქვედარგს წარმოადგენს სამხედრო დაზვერვა და მისი

როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ეფექტურობა დამოკიდებული იყო გონებაგამჭრიახ და შემოქმედებითად მოაზროვნე მმართველების განსაკუთრებულ უნარებზე. ასეთი მმართველების ხელმძღვანელობის დროს ქვეყნის სპეციალური სამსახურების საქმიანობა განიცდიდა მნიშვნელოვან პროგრესს საქმიანობის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული განხორციელების კუთხით, რაც საბოლოოდ მოითხოვდა სამივე კომპონენტის სისტემატიზაციას. სისტემის თეორიული და მეთოდოლოგიური განვითარება უზრუნველყოფდა შესაბამისი კადრების მომზადებას, შემდგომში მათი რეალურ სიტუაციებში გამოყენების მიზნით, ხოლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები ან სიახლეები იწვევდა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ან უბრალოდ დამატებებს.

მიზანმიმართული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს პრიორიტეტები, ხოლო პრიორიტეტების გამოკვეთა შესაძლებელია არსებული ვითარებიდან და მომავალში შესაძლო განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. სამხედრო დაზვერვის საქმიანობის, სტრუქტურული ზრდისა და საჭირო საშუალებების გათვლა პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა[337] და საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიასთან[338], რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს, ინტერესებს, საფრთხეს, რისკს, გამოწვევებს და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სამხედრო დაზვერვის საქმიანობის პრიორიტეტები განისაზღვრება არსებული და მომავალში შესაძლო წარმოშვებული საფრთხეებიდან გამომდინარე, რის საფუძველზეც, საქმიანობის ახალი მიმართულებების და ფუნქციური დამატებების უზრუნველსაყოფად ხდება მისი სრუქტურული რეორგანიზაცია და დამატებითი საშუალებების მობილიზება.

[337] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი, 2011, https://tinyurl.com/4csf42e4.

[338] საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, თბილისი, 2011, https://tinyurl.com/2tchzk5r.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი ბ., „მსტოვრების ისტორია საქართველოში“, საზოგადოება ცოდნა, თბილისი, 2009, https://tinyurl.com/5z6vmm5w.
2. კუხალაშვილი დ, „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“, თბილისი, 2020, გვ.13. https://tinyurl.com/39avuw56.
3. მურღულია უ., ჰეროდოტე, „ისტორიები“, თბილისი, 2016, წიგნი VII, თავი 239-ე, https://umurgulia82.blogspot.com/2016/08/vii.html.
4. ზაქარაია ვ., „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური“, ზუგდიდის უნივერსიტეტი, ზუგდიდი, 1994.
5. კალანდაძე მ., „ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, არტანუჯი, თბილისი, 2005, https://tinyurl.com/f66keyj5.
6. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი, 2011, https://tinyurl.com/4csf42e4.
7. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, თბილისი, 2011, https://tinyurl.com/2tchzk5r.
8. ყარალაშვილი თ., „კეისარი, კომენტარები გალიის ომის შესახებ“, თბილისი, 2015, https://www.docdroid.net/id6nY4L/komentarebi-galiis-omis-shesakheb-pdf#page=2.
9. ჩაჩხიანი ა., „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, არადანი, თბილისი, 2007, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/35599/1/Somxet_Sakartvelo.pdf.
10. ძმანაშვილი ე., „სამოხელეო წყობის საკითხისთვის XII საუკუნის საქართველოში“, თბილისი. 2018. https://tinyurl.com/ywsy6xtw.
11. Peter S., „Roman Britain, A very short introduction“, Oxford University Press, 1984, https://tinyurl.com/mvcjjzey.